დანართი №4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა
ზეპირი გამოცდის შეფასების ფორმა

(ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის)
ფორმის ნომერი ____
დარგობრივი კომისიის წევრი/წევრები (სახელი, გვარი)
_____

(1) სადოქტორო პროგრამის კანდიდატის სახელი და გვარი
_____

(2) სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური
_____

(დარგობრივი კომისიის წევრისთვის/წევრებისთვის)
ზეპირი გამოცდა მოიცავს დარგობრივი ცოდნის შეფასებას, სადოქტორო კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას, სამუშაო გამოცდილების და მოტივაციის შეფასებას. ზეპირი გამოცდა ფასდება ხუთი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: პრეზენტაციის ეფექტურობა, დისკუსია, დარგობრივი ცოდნა, სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია.

- ***პრეზენტაცია*** – სადოქტორო პროგრამის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ათწუთიანი PP-პრეზენტაცია მის მიერ წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის შესახებ. პრეზენტაციის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მისი თანმიმდევრულობა და სიცხადე.
- ***დისკუსია*** – სადოქტორო კვლევითი განაცხადის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება დისკუსია. დისკუსიისას განხილული იქნება განაცხადში განსაზღვრული საკვლევი თემა/პრობლემა, კვლევის მიზანი, საკვლევი ჰიპოთეზა, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია, კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი გავლენა კვლევის სფეროზე. დისკუსიისას შეფასდება სადოქტორო პროგრამის კანდიდატის უნარი უპასუხოს დარგობრივი კომისიის წევრების კითხვებს კომპეტენტურად, არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად.
- ***დარგობრივი ცოდნა*** – შეფასდება აპლიკანტის ცოდნა, რომელიც საჭიროა მის მიერ დაგეგმილი სადოქტორო კვლევისთვის. საკითხები განისაზღვრება ინდივიდუალური კვლევითი განაცხადის საფუძველზე.
- ***სამუშაო გამოცდილება*** – განიხილება აპლიკანტის რეზიუმე (CV), სარეკომენდაციო წერილი: ყურადღება გამახვილდება აპლიკანტის მიღწევებზე, ჯანდაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილებაზე; სამუშაო პროცესის ადეკვატური ანალიზის და თვითშეფასების უნარზე.
- ***მოტივაცია*** – აპლიკანტმა უნდა დაასაბუთოს სადოქტორო კვლევის საჭიროება მისი პროფესიული განვითარებისთვის, მისი გამოყენების პერსპექტივები / შესაძლებლობები და გაანალიზოს ის წვლილი, რომელსაც შეიტანს დაგეგმილი კვლევის განხორციელება სფეროს განვითარებაში. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი მოლოდინები სადოქტორო პროგრამისადმი.

ზეპირი გამოცდის თითოეული კრიტერიუმი ფასდება ქვემოთ მოყვანილი სარეიტინგო სკალის მიხედვით. სარეიტინგო სკალაზე ქულები განლაგებულია ყველაზე მაღალი ქულიდან (5 ქულა – ძალიან

კარგი) ყველაზე დაბალ ქულამდე (0 ქულა – მიუღებელი). ზეპირი გამოცდის ჯამური სარეიტინგო ქულა დაანგარიშდება თითოეულ კრიტერიუმში მიღებული სარეიტინგო ქულათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლებით. ზეპირი გამოცდის მაქსიმალური ჯამური სარეიტინგო ქულა არის 5, ხოლო მინიმალური გამსველელი ზღვარი – 3.

(3) ზეპირი გამოცდის შეფასების მატრიცა

	5	4	3	2	1	0
პრეზენტაცია						
დისკუსია						
დარგობრივი ცოდნა						
სამუშაო გამოცდილება						
მოტივაცია						
ჯამური სარეიტინგო ქულა:						

(4) დარგობრივი კომისიის წევრის/წევრების სახელი, გვარი

(5) ხელმოწერა

(6) თარიღი